

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილ პროექტში ასახულია გარკვეული ცვლილებები ქონებაზე ყადაღის დადების წესში.

კანონპროექტით გათვალისწინებულია ქონების დაყადაღების შესაძლებლობა, მისი შემდგომი ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად (190-ე მუხლის პირველი ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობს „საპროცესო კონფისკაციისა“ და „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის“ ცნებები, ევროპის საბჭოს მიერ არაერთხელ დაფიქსირებულა, რომ მოცემული ცნებები ბუნდოვანია და ვრცელდება მხოლოდ თანამდებობის პირებზე, ამასთან მოქმედი ნორმები ყადაღის დადებისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის შესახებ არ შეესაბამება „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციის მოთხოვნებს. შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილია 44-ე მუხლის 48-ე და 49-ე ნაწილების ახალი რედაქცია. სტარსბურგის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველა მონაწილე მხარე იღებს საკანონმდებლო და სხვა აუცილებელ ზომას, რომელიც მას მისცემს შესაძლებლობას მოახდინოს დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ან მათი ღირებულების ექვივალენტური მატერიალური ფასეულობების კონფისკაცია.

აღნიშნული ცვლილებების მოქმედ კანონმდებლობაში წარმოდგენის აუცილებლობა არაერთხელ დაფიქსირებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ, რამაც განაპირობა მოცემული კანონპროექტის შემუშავება. კერძოდ, საქართველოს მოეთხოვა შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში 2005 წლის 18 ნოემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს მიმართ გამოყენებული იქნება სანქციები.

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.